

აიბი ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტში მოქმედებს გამოცდების ჩატარების შემდეგი წესები:

სემესტრის საგამოცდო გრაფიკი ყველა ფაკულტეტისათვის მოიცავს: ა) მიმდინარე გამოცდებს, ბ) შუალედურ გამოცდებს და გ) ფინალურ გამოცდას.

მიმდინარე გამოცდები:

მიმდინარე გამოცდებში შედის:

1. ქუიზები - ცოდნის ათვისების შესამოწმებელ შეკითხვებზე სტუდენტის პასუხების შეფასება (წერა ან ზეპირი);
2. სემინარი - მიმდინარე სასწავლო თემის ინდივიდუალური ათვისების კონტროლი (ზეპირი, წერა ან ტესტირება);
3. კოლოქვიუმი - მიმდინარე სასწავლო თემის ჯგუფური განხილვაში აქტიურობის შეფასება;
4. რეფერატი - მოკლე წერილობითი ნაშრომი კონკრეტულ სასწავლო თემაზე ან საკითხზე;
5. პრეზენტაცია - პრაქტიკული ნამუშევრის და მისი წარმოდგენის შეფასება.

მიმდინარე გამოცდების დანიშნულებაა სტუდენტთა მუშაობის ინტენსიურობის უზრუნველყოფა.

მიმდინარე გამოცდების ფორმებს ირჩევს პროფესორი საგნის სპეციფიკისა და საკუთარი სილაბუსის შესაბამისად. ყველა საგნისათვის აუცილებელია მხოლოდ ქუიზები, რომლებიც სტუდენტთა აქტიურობისა და სწავლებაში ჩართულობის უშუალო მაჩვენებელს წარმოადგენს.

ჯგუფში კოლოქვიუმისა და პრეზენტაციის თარიღი საგამოცდო ცენტრს უნდა ეცნობოს წინასწარ, არაუგვიანეს ორი დღისა.

შუალედური გამოცდა

შუალედური გამოცდების დანიშნულებაა მეცადინეობათა პერიოდში სწავლისა და სწავლების შედეგების პერიოდული შემოწმება და შეფასება. შუალედური გამოცდა თითოეულ საგანში ტარდება წერითი, ზეპირი, ტესტირების ან პრეზენტაციის ფორმით. ჯგუფში ერთი შუალედური გამოცდა მაინც უნდა ჩატარდეს ტესტირებით, საუნივერსიტეტო კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით;

რადგან შუალედური გამოცდები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მიმდინარე გამოცდები, ამიტომ მისი წილი საერთო შეფასებაში უნდა იყოს მეტი. მაგ. თუ ქუიზების (ან სემინარების, ან რეფერატის ან სხვ.) წილი საერთო შეფასებაში არის - 10% თითოეული შუალედურისა უნდა იყოს - 15%, 20%, 25% და ა.შ.. საგამოცდო პერიოდში მეცადინეობები უნივერსიტეტში არ წყდება.

შუალედური გამოცდა თითოეულ დისციპლინაში ტარდება სემესტრში სამჯერ მეცადინეობათა პარალელურად, წინასწარ შერჩეულ ორკვირიან პერიოდში, საგნის მასწავლებლის მიერ შერჩეულ და მისი მეცადინეობათა ცხრილით განსაზღვრულ დღესა და საათებში.

შუალედური გამოცდების გრაფიკი, შერჩეული ორკვირიანი პერიოდის გათვალისწინებით ინიშნება სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე.

შუალედური გამოცდის მასალები - საგამოცდო თემები, ამოცანები, ბილეთები, საკითხები, ტესტები უნდა წარედგინოს საგამოცდო ცენტრს გამოცდამდე, ხოლო გამოცდის შედეგები - სტუდენტთა ნამუშევრები, რეფერატები და სხვ. - გამოცდის შემდეგ.

ყველა პროფესორმა თავისი საგნის მიმდინარე და შუალედური გამოცდების საბოლოო შედეგები უნდა დააფიქსიროს ჯგუფის უწყისში და ფინალურ გამოცდამდე არაუგვიანეს 3 დღისა ჩააბაროს ფაკულტეტის დეკანატს.

IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი

მიმდინარე და შუალედური გამოცდების საბოლოო სემესტრული შედეგები, დაფიქსირებული ჯგუფურ უწყისებში (ფორმა № 1, იხ. დანართი) ფაკულტეტებმა საგამოცდო ცენტრს უნდა წარუდგინონ ფინალური გამოცდამდე არაუგვიანეს 2 დღისა. საგანში, რომლის ჯგუფური უწყისი არ ჩაბარდება საგამოცდო ცენტრს ფინალური გამოცდა არ დაინიშნება.

ფინალური გამოცდა ფინალური გამოცდების დანიშნულებაა სემესტრის ბოლოს სწავლისა და სწავლების შედეგების საბოლოო შემოწმება და შეფასება. ფინალური გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლო კვირაში, მთელი სასწავლო მასალის ათვისების კონტროლის მიზნით, წერიითი, ზეპირი, ტესტირების, პრეზენტაციის ან სხვა, პროფესორის მიერ შერჩეული ფორმით. ფინალურ გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელმაც მიმდინარე და შუალედურ გამოცდებში ჯამში დააგროვა 31 ქ. (60-დან).

ფინალური გამოცდების გრაფიკი ფაკულტეტებმა საგამოცდო ცენტრს უნდა წარუდგინონ საგამოცდო პერიოდამდე 2 კვირით ადრე.

ფინალური გამოცდის მასალები საგამოცდო თემები, ამოცანები, ბილეთები, საკითხები, ტესტები უნდა წარედგინოს საგამოცდო ცენტრს გამოცდამდე, ხოლო გამოცდის შედეგები - სტუდენტთა ნამუშევრები, რეფერატები და სხვ. - გამოცდის შემდეგ.

სტუდენტთა შეფასების საბოლოო შეფასება მიმდინარე, შუალედური და ფინალური გამოცდების შედეგები და სტუდენტის მოკლე დახასიათება, ყველა პროფესორმა უნდა დააფიქსიროს სტუდენტის ინდივიდუალურ უწყისში (ფორმა № 2, იხ. დანართი) და ჩააბაროს დეკანატებს ფინალური გამოცდის დღეს. საბოლოო შედეგებს დეკანატები საგამოცდო ცენტრს წარუდგენენ სემესტრის დასრულებამდე.

შეფასების მაჩვენებლები მიმდინარე და შუალედური გამოცდების შეფასების წილს საერთო შეფასებაში, - ქულთა მაქსიმალურ რაოდენობას, ადგენს პროფესორი საკუთარი სილაბუსის შესაბამისად. ჯამში მათ უნდა შეადგინონ მაქსიმუმ 60 ქულა. ფინალურ გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60-დან 31. ქულა. ფინალური გამოცდა ფასდება მაქს. 40 ქულით.

საბოლოო ნიშანი გამოიყვანება შემდეგი პრინციპით: 91-100 ქულა - A; 81-90 ქულა - BB; 71-80 ქულა - C; 61-70 ქულა - DD; 51-60 ქულა - E; 41-50 ქულა - Fx (ფინალური გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება); 0-40 ქულა - FFO (დისციპლინის განმეორებით გავლის აუცილებლობა).

უნივერსიტეტში გამოცდების პროცესის მიმდინარეობის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია განთავსებულია [საგანმანათლებლო პროცესის დებულებაში](#).